ქართული ბარი

იანვარი 2018 №4

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ–ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმატებული წელი და 2018-ის სტრატეგიული მიზნები

თავდაცვის სამინისტრო მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებით აძლიერებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ეს ნამდვილად არის ოპტიმიზმის საფუძველი - 2018 წელი იქნება კიდევ უფრო მეტად შთამბეჭდავი და წარმატებული.

გვ. 3

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ლევან იზორიას საახალწლო მილოცვა

გვ. 2

გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაიას საახალწლო მილოცვა

გვ.2

აშშ მზკიცედ უჭერს მხარს საქართველოს მონდომებას, გააძლიეროს და მოახდინოს სამხედრო შესაძლებლობების მოდერნიზება - აშშ-ის თავდაცვის მდივანი, ჯეიმს მაზისი

გვ. 4

ჯარისკაცის მრწამსი

გვ. 6

მხატვრები მშვიდობისთვის

პროექტი, რომელმაც თორმეტი ქართველი მხატვარი საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და მისი ღირებულებების გარშემო გააერთიანა

გვ.10



ვიცოდეთ მეზი პროპაგანდის შესახებ - არ გავხდეთ იარაღი -მზრის ხელში!

გვ. 5

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ლევან იზორიას საახალწლო მილოცვა

მთელ საქართველოს და განსაკუთრებით, შეიარაღებულ ძალებს, 2018 წლის დადგომას ვულოცავ. მინდა ქვეყნის გამთლიანება, გაძლიერება, ოჯახების წარმატება და ყოველივე სიკეთე ვუსურვო.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თითოეულმა სამხედრო მოსამსახურემ სახელმწიფოსგან მაქსიმალური ყურადღება იგრძნოს. რეფორმები, რომლებიც დავიწყეთ და მიმდინარეობს, მიმართულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისკენ, რაც თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის საწინდარია.

ყოველი ახალი წელი, ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. დღეს, ჩვენი უმთავრესი მიზანია სამხედრო განათლების, სამხედრო წვრთნებისა და სწავლების ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფით, საერთაშორისო პროექტების, განსაკუთრებით SNGP-სა და GDRP-ს სინქრონიზებით, საერთაშორისო მისიებში მიღებული გამოცდილებით, ეროვნული თავდაცვითი რესურსების მობილიზებით, ადეკვატური დაფინანსებითა და საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებით, საქართველოს თავდაცვითი მზადყოფნის გაძლიერება, ქართული შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის გაზრდა და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა.

ქვეყნისთვის თავდადება მუდამ იყო და არის ქართული მხედრული სულის სიმტკიცის საფუძველი. მინდა აღვნიშნო თითოეული ოფიცრის, სერჟანტის, კაპრალის, რიგითის ღვაწლი, რომელიც ღირსეულად მსახურობს ქართულ შეიარაღებულ ძალებში, საქართველოს ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად. დღეს, თავიანთ მოვალეობას ქართველი ჯარისკაცები ნატოსა და ევროკავშირის მისიის ფარგლებში, ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირეებთან ერთად, წარმატებით ასრულებენ. ისინი საკუთარ თავზე იღებენ თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობასაც, ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისა და თავისუფალ საზოგადოებათა სამყაროში საქართველოს ინტეგრაციისათვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ 2018 წლის დადგომას. მსურს ეს წელი ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე თითოეული ჯარისკაცის ოჯახისთვის.

გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაიას საახალწლო მილოცვა

მინდა ახალი წელი მივულოცო საქართველოს შეიარაღებული ძალების თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს, სამოქალაქო პირებს და მათ ოჯახებს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, წარმატებას და ბედნიერებას.

სამხედროები ემსახურებიან ძალიან მნიშვნელოვან საქმეს - სამშობლოს დაცვას. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სამსახურისათვის და თავდადებისათვის იმ ოფიცრებს, სერჟანტებს, კაპრალებს, რიგითებს, რომლებიც ამ დღესასწაულს ვერ ხვდებიან ოჯახებთან და თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მისიებში.

მადლიერებას და პატივისცემას გამოვხატავ, დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ ისინი არიან ჩვენი ქვეყნის ცოცხალი გმირები და აგრძელებენ ქვეყნის სამსახურში ყოფნას.

ქედს ვიხრით ყველა იმ სამხედრო მოსამსახურის წინაშე, ვინც თავი შესწირა სამშობლოს ერთიანობას და ინტერესებს.

ახალი 2018 წელი ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის.

მე, თქვენთან ერთად, ახალი ძალითა და შემართებით გავაგრძელებ იმ გზას, რასაც ჩვენი უსაფრთხოების გაძლიერება და განმტკიცება ჰქვია. ახალი დაწყებული პროექტები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მომდევნო წელს ქვეყნის საბრძოლო მზადყოფნა უფრო ამაღლდება და ქვეყანა უფრო დაცული იქნება.

მჯერა, სწორედ ამ შემართებითა და თავდადებით მივაღწევთ ყველა დასახულ მიზანს და გავაგრძელებთ შეიარაღებული ძალების აღმშენებლობას და სამშობლოს სამსახურს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმატებული წელი და 2018-ის სტრატეგიული მიზნები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაა. სამინისტროს ეფექტიანობის შეფასებას სწორედ ის განსაზღვრავს, თუ რამდენად მოხერხდა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. არის თუ არა საქართველო დღეს ამ მიმართულებით უფრო მეტად ძლიერი, ვიდრე გასულ წლებში?

დასკვნის გასაკეთებლად მნიშვნელოვანია არგუმენტები. ამ შემთხვევაში კი არგუმენტები არის სწორედ ის პროექტები, რომლებიც 2017 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წარმატებით განახორციელა.

რეფორმების საფუძველი, ცხადია, ყოველთვის უნდა იყოს ხედვა, რადგან სისტემური და კონცეპტუალური გააზრების გარეშე მნიშვნელოვან წარმატებებზე საუბარი ზედმეტია. 2017 წელს დამტკიცდა „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი 2017-2020“, რომელმაც განსაზღვრა თავდაცვის პოლიტიკა 2017-2020 წლებში. თავდაცვის სამინისტროს მთავარი ამოცანების: საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის გაძლიერებისთვის, ქართული შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის გაზრდისა და უმთავრესის - საქართველოს სუვერენიტეტის დაცვისათვის თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები განისაზღვრა ხუთი მიმართულებით: 1. სტრატეგიული მართვა; 2. ძალთა ოპტიმიზაცია; 3. ძალთა მზადყოფნა; 4. ინსტიტუციური რეფორმები; 5. საერთაშორისო თანამშრომლობა.

2017-2020 წლების „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის“, „მინისტრის ხედვისა“ და „თეთრი წიგნის“ გარდა ძალიან მნიშვნელოვანი იყო საკომუნიკაციო სტრატეგიის დამტკიცება. თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხეების გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია მოწინააღმდეგის საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების წინააღმდეგ ბრძოლა. თანამედროვე ომებში საინფორმაციო ომის კომპონენტი უმნიშვნელოვანესია. თუ თქვენ ვერ გაგტეხენ, თუ მოწინააღმდეგე ვერ შეძლებს თავისი აგრესიული მიზნების შეფუთვას, მას გრძელვადიან პერსპექტივაში ძალიან გაუჭირდება საკუთარი აგრესიის წარმატებით დასრულება. ამისათვის სამინისტროს უნდა ჰქონდეს მკაფიო ხედვა და საკომუნიკაციო მიზნები, რომ ეფექტურად დაუპირისპირდეს თანამედროვე საინფორმაციო ომის საფრთხეებს.

საქართველოს წარმატება და თავდაცვის უნარიანბა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობაზე. 2017 წელი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. თანამშრომლობა თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა და უპრეცედენტო დინამიკა შეიძინა.

ამ თვალსაზრისით გამოსარჩევია თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP), რომელიც წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ერთობლივ პროექტს, რომლის მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის გაზრდა.

პროგრამის ფარგლებში დაკომპლექტდება, აღიჭურვება და გაიწვრთნება შეიარაღებული ძალების ცხრა სამანევრო ბატალიონი. პროგრამის განხორციელებისთვის აშენდება ნატოს სტანდარტების საბრძოლო მომზადების ცენტრი (CTC) ვაზიანის ბაზაზე.

პროგრამა წარმოადგენს ორი კომპონენტის ერთობლიობას: მზადყოფნის პროგრამა წვრთნა (GDRP-თ) და მზადყოფნის პროგრამა - ინსტიტუციური განვითარება (GDRP-I). შესაბამისად, პროგრამა მთლიანობაში უზრუნველყოფს არა მხოლოდ ტაქტიკური დონის საბრძოლო ქვედანაყოფების (ბატალიონი, ასეული) საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას, არამედ დაკომპლექტების, წვრთნის, აღჭურვის და ძალების შენარჩუნების მდგრადი

ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას. პროგრამა 2018 წლის გაზაფხულიდან დაიწყება.

2017 წლის ბოლოს, თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები, საქართველოსთვის თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო სისტემის, „ჯაველინების“ მიყიდვის თაობაზე. აღნიშნული სისტემები, ფრანგულ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებთან ერთად, მნიშვნელოვნად გააძლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ჯავშან-საწინააღმდეგო სარაკეტო სისტემის ყიდვა ნიშნავს, რომ საქართველო მომავალში უკეთ დაიცავს საკუთარ თავს, საკუთარ საზღვრებს და დიდ ნაბიჯს გადადგამს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების გზაზე. „ჯაველინს“ მოწინააღმდეგისათვის დიდი ფსიქოლოგიური ეფექტი ექნება, რადგან აღნიშნული სისტემა მოწინააღმდეგის ტექნიკისთვის ძალიან სახიფათო იარაღია. რთულია გაბედულად შეხვიდე მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, როდესაც იცი, რომ შენი ტექნიკის განადგურების ალბათობა საკმაოდ მაღალია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხის პოლიტიკურ მხარეს. ჯაველინი თავდაცვითი იარაღია, რომლის შესყიდვაზე თანხმობა სიგნალია შეერთებული შტატების მხრიდან, რომ საქართველოზე ნებისმიერი ახალი სამხედრო თავდასხმა მოწინააღმდეგეს ძვირი დაუჯდება.

საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის უპრეცედენტო დინამიკაზე მიუთითებს გაზრდილი ფინანსური დახმარებებიც. 2017-2018 წლებში საქართველოს თავდაცვის რეფორმისთვის, ამერიკის საგარეო სამხედრო დაფინანსებით (FMF) აშშ დახარჯავს 100 მილიონ დოლარზე მეტს. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს თავდაცვით შესაძლებლობებს და ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას უმაღლეს საფეხურზე აიყვანს.

შეიარაღებასთან ერთად საქართველოს თავდაცვისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანია წვრთნების დინამიკისა და პარტნიორი სახელმწიფოების ჩართულობის ზრდა. 2017 წელი აღნიშნული ორივე მიმართულებით გამორჩეული იყო.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლების მიზნით, სამინისტრომ შეიარაღებასა და აღჭურვაზე დასახარჯი თანხების რაოდენობა გაზარდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინფრასტრუქტურისა და ჯარისკაცთა პირობების გაუმჯობესების მიმართულებითაც.

პროექტების ჩამონათვალი ნამდვილად შთამბეჭდავია. აღნიშნული სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვაზე, ქვეყანაში გაძლიერდა თუ არა თავდაცვისუნარიანობა, პასუხი გაცემულია. თავდაცვის სამინისტრო მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებით აძლიერებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ეს ნამდვილად არის ოპტიმიზმის საფუძველი - 2018 წელი კიდევ უფრო მეტად შთამბეჭდავი და წარმატებული იქნება.

აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს მონდომებას, გააძლიეროს და მოახდინოს სამხედრო შესაძლებლობების მოდერნიზება - აშშ-ის თავდაცვის მდივანი, ჯეიმს მატისი

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია 2017 წლის მიწურულს ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, სადაც შეხვედრები თავდაცვის მდივან ჯეიმს მატისთან, უშიშროების საბჭოს მდივან, ჰერბერტ რაიმონდ მაკმასტერთან და საბიუჯეტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, სენატორ ლინდსი გრემთან გამართა. ვიზიტის ფარგლებში ორ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება, რეგიონული უსაფრთხოების საკითხები და საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერების საკითხები განიხილეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ აშშ-ის თავდაცვის მდივანს მადლობა გადაუხადა აშშ-ის პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის. ლევან იზორიას განცხადებით, საქართველო მნიშვნელოვნად აფასებს აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერას საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის მიმართულებით, რომელიც წელს დაიწყება და ქვეყნის მდგრადობისა და სამხედრო შესაძლებლობების გაზრდას შეუწყობს ხელს. „მსურს ხაზი გავუსვა თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას, რომელსაც 2018 წლიდან ვიწყებთ ერთობლივად და რომელშიც, შემდგომი 3 წლის განმავლობაში, 9 ბატალიონის მომზადება იქნება გათვალისწინებული. თუ აქამდე ჩვენი შეიარაღებული ძალები, საერთაშორისო მისიის ფარგლებში ამოცანების შესასრულებლად გადიოდა წვრთნებს, ამ პროგრამის ფარგლებში, ჩვენი ამოცანა უკვე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება იქნება“.

თავდაცვის მდივანმა ჯეიმს მატისმა საქართველოს თავდაცვის რეფორმები დადებითად შეაფასა და აღნიშნა ქართული მხარის მზაობა, კიდევ უფრო გააძლიეროს შეიარაღებული ძალების სამხედრო შესაძლებლობები. „აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს მონდომებას გააძლიეროს და მოახდინოს სამხედრო შესაძლებლობების მოდერნიზება. ეს კარგად წარმოაჩენს თქვენს ვალდებულებას თავდაცვის სფეროს მიმართ. თქვენი სამხედრო რეფორმები კარგად არის განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების ეფექტურობის გაზრდას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ პროცესს“, - განაცხადა ჯეიმს მატისმა.

აშშ-ის თავდაცვის მდივანმა მადლიერება გამოხატა ავღანეთის მისიაში საქართველოს მიერ გაღებული წვლილისთვის და აღნიშნა, რომ ავღანეთში წარმოდგენილი 870 სამხედრო მოსამსახურით, საქართველო სამაგალითო ქვეყანაა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა, აშშ-ის მხარდამხარ, მისიაში მონაწილეობა გააგრძელოს.

შეხვედრისას ჯეიმს მატისმა კიდევ ერთხელ გაიხსენა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის თბილისში გაკეთებული განცხადება - „ამერიკა საქართველოს გვერდით დგას“. „ამ პირობას ამყარებს ჩვენი ქვეყნების საერთო ღირებულებები - სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის პატივისცემა“, - აღნიშნა აშშ-ის თავდაცვის მდივანმა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა აშშ-ში ვიზიტი დადებითად შეაფასა და განაცხადა, რომ ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა და კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. „ეს იყო მართლაც სამაგალითო შეხვედრები, სადაც ჩვენ მივიღეთ მაქსიმალური მხარდაჭერა და აღიარება იმ პროგრესისა, რასაც ჩვენი ქვეყანა დემოკრატიის განვითარების მიმართულებით ბოლო წლებში განიცდის, სხვადასხვა ინსტიტუტების ჩამოყალიბების თვალსაზრისით და განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში მიღწეული პროგრესით“, - აღნიშნა თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა.



ვიცოდეთ მეტი პროპაგანდის შესახებ – არ გავხდეთ იარაღი მტრის ხელში!

მოიპოვო საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა ნიშნავს მოიპოვო ადამიანებზე გავლენა. საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია პროპაგანდისტული საშუალებებით გავლენისა და ძალაუფლების მოპოვების ერთ-ერთი გზაა.

პროპაგანდისტული ნარატივი, ერთი მხრივ, ეფუძნება საზოგადოებაში არსებულ განწყობებს, ხოლო მეორე მხრივ, პროპაგანდისტები ყოველთვის ცდილობენ ჩამოაყალიბონ მათთვის სასურველი სტერეოტიპები, განწყობები და შეასუსტონ უკვე არსებული, რომლებიც მათ მიზნებს ეწინააღმდეგება. ზეგავლენის მოხდენა ადამიანის გონებაზე უფრო ეფექტურია მაშინ, როდესაც მას აზრებს აწვდი არა პირდაპირ, არამედ შეფარულად. თუ თქვენ იცით, რომ თქვენს მანიპულირებას ცდილობენ, ის ვერ განხორციელდება. საჭიროა გონებაში გაუცნობიერებლად შევიდეს ინფორმაცია, რომელიც აყალიბებს ადამიანების შეხედულებებსა და სტერეოტიპებს. მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი ასეთი გზა არის იუმორითა და გართობით სასურველი ინფორმაციის მიწოდება და ადამიანების ამ გზით მანიპულაცია.

პროპაგანდა შესაძლოა გავრცელდეს გართობის ყველა საშუალებებით: იუმორისტული გადაცემებით, ფილმებით, კარიკატურებით და თუნდაც სათამაშოებით.

მანიპულაციისათვის პროპაგანდის მიერ გამოყენებული ერთ-ერთი საშუალებაა მიმები, კულტურული ინფორმაციის ფრაგმენტი, რომელიც შეიძლება იყოს სიმბოლო, იდეა თუ ფრაზა, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ადამიანიდან ადამიანზე ვრცელდება საუბრით, წერით, ვიდეოთი, სურათით, ჟესტებით და ა.შ.

სოციალური მედიის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ინტერნეტ მიმებს, რომლებიც წარმოადგენენ ტექსტებს, ნახატებს და ა.შ. და ჩვეულებრივ გადაიცემა მომხმარებლების მიერ პირდაპირი ქსელის მეშვეობით, ძირითადად გართობის მიზნით.

პროპაგანდისტული მიმები ისეა შედგენილი, რომ მათ, ხშირ შემთხვევაში, იუმორისტული შინაარსი აქვთ, მაგრამ, ამასთანავე, ემსახურებიან გარკვეული სტერეოტიპების გამყარებას ან ჩამოყალიბებას. მაგალითად, ინტერნეტ სივრცეში მრავლად შეხვდებით ისეთ მიმს, რომელიც ცდილობს დაგვარწმუნოს მტრული სახელმწიფოს უძლეველობაში. ასეთი მიმები ძირითადად დათვის სიმბოლიკით გამოიხატება: დათვი, რომლისაც ყველას ეშინია, რომელიც არ უნდა გავაღიზიანოთ. ასევე მიმების ნაწილი ცდილობს დასავლური ღირებულებები დააკავშიროს გარყვნილებასთან და ტრადიციულ ღირებულებებთან ბრძოლასთან.

ასევე პროპაგანდისტული მიზნებისთვის აქტიურად გამოიყენება იუმორისტული გადაცემები. იუმორისტული გადაცემების პაროდიებსა და სიმღერებში მოწინააღმდეგე ქვეყნებსა და მათ ლიდერებს წარმოადგენენ დამამცირებლად და ახდენენ მათ დემონიზებას. საზოგადოებრივი აზრის შექმნა და საინფორმაციო კამპანიების წარმოება, სწორედ გართობით, ყოველთვის უფრო ეფექტურია საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც ნაკლები წარმოდგენა აქვს პროპაგანდაზე, ზოგადად პოლიტიკურ კონტექსტზე და რომელიც, ხშირ შემთხვევაში, იუმორით განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების სამიზნე აუდიტორია ხდება.

იუმორს ისევე აქვს შინაარსი, როგორც ყველა სხვა ინფორმაციას, შესაბამისად, იმისათვის რომ არ გავხდეთ მტრული პროპაგანდის მსხვერპლი, მნიშვნელოვანია არ მივიღოთ კრიტიკული განხილვის გარეშე არც ერთი ინფორმაცია, მათ შორის არც იუმორისტული. იუმორით შესაძლოა უფრო მეტი წარმატებითაც განხორციელდეს ისეთი პროპაგანდისტული ტექნიკა, როგორიცაა:

შავ-თეთრი მეთოდოლოგიის გამოყენება და მოწინააღმდეგის დემონიზაცია;

ბულინგი, როდესაც მოწინააღმდეგის პოზიციებს შეურაცხყოფას აყენებ, ამცირებ და ამით ცდილობ ადამიანებზე გავლენის მოპოვებას;

მოწინააღმდეგის დადანაშაულება იმაში, რაც საკუთარ სისუსტედ ითვლება და მასთან ამით უარყოფითი, განმასხვავებელი ნიშნების წაშლა; (თუ მოძალადე ცდილობს მსხვერპლი დაადანაშაულოს ძალადობაში, ამით ის ცდილობს წაშალოს მსხვერპლის მორალური უპირატესობა).

უარყოფითი შინაარსის სახელების დარქმევა და მოწინააღმდეგის ამ გზით დემონიზაცია;

ამიტომ არ მივიღოთ უკრიტიკოდ, არც ინფორმაცია და არც ინფორმაციის წყაროების სტატუსი და ვიცოდეთ:

• თუ ინფორმაციის ბევრი წყარო ამბობს ტყუილს, ეს არ ნიშნავს, რომ ის სიმართლე გახდება;

• თუ მაღალი ინტენსივობით გესმით დეზინფორმაცია, ეს მას ჭეშმარიტებად ვერ აქცევს;

• თუ დეზინფორმაციას იმეორებენ საზოგადოებისათვის საპატივცემულო ადამიანები, ამით მისი არასწორი ხასიათი არ იცვლება;

• დეზინფორმაციაც ხშირად შეიცავს „მტკიცებულებებს“, რომლებიც მცდარია;

• ლამაზად გაფორმებული ინფორმაცია მის შინაარსს ობიექტურობას არ ანიჭებს;

• თუ თქვენ არ მოგწონთ ვინმე, ეს არ ნიშნავს, რომ მისი ყველა გამონათქვამი არასწორია;

• როცა ზუსტად არ გვეუბნებიან ვინ ამბობს ინფორმაციას, აუცილებლად რაღაცას გვიმალავენ. არ ვენდოთ ანონიმურ ავტორებსა და წყაროებს!

• სიფრთხილე გამოვიჩინოთ ანალოგიებისა და დილემების მიმართ და კარგად დავუკვირდეთ მათ ლოგიკურ კავშირს!

• ყალბი საფრთხეები ადამიანის მანიპულაციის კარგი საშუალებაა. ამიტომ კარგად უნდა დავაკვირდეთ არსებობს თუ არა საფრთხეები რეალურად!

და ბოლოს, თუ თქვენ იცით, რომ თქვენს მანიპულირებას ცდილობენ, ის ვერ განხორციელდება. ამიტომ ვიცოდეთ უფრო მეტი პროპაგანდის შესახებ და კრიტიკულად შევხედოთ მოწოდებულ ინფორმაციებს, საუკეთესო გზაა არ გავხდეთ პროპაგანდისტული მანიპულაციების მსხვერპლი!



ჯარისკაცის მრწამსი

მე ვარ საქართველოს ჯარისკაცი!

ერთგულად ვემსახურები ჩემს სამშობლოსა და ჩემს ხალხს!

პატივს ვცემ ჩვენი ქვეყნის წარსულს, ვიცავ აწმყოს და ვიბრძვი უკეთესი მომავლისთვის!

საქართველოს სახელით, ვიცავ მსოფლიო მშვიდობასა და უსაფრთხოებას!

მეამაყება, რომ ვარ ქართული ჯარის რიგებში და ვიცავ მის ღირებულებებს!

ყველგან და ყოველთვის დავიცავ საქართველოს დროშას და ღირსებით ვატარებ მუნდირს!

პასუხისმგებლობით ვასრულებ დაკისრებულ მოვალეობას!

არასოდეს მივატოვებ ჩემს თანამებძოლებს ომსა თუ მშვიდობაში!

პატივს მივაგებ გმირებს და ქედს ვიხრი მათი თავდადების წინაშე!

რწმენა გამარჯვებისა, ჩემი გზამკვლევია ბრძოლის ველზე!

მე ვარ იქ, სადაც ჩემს სამშობლოს ვჭირდები!

საქართველოსთვის!

ასეთია საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურის ჯარისკაცული მრწამსი, რომლის შექმნის იდეა საინტერესო გარემოების გამო გაჩნდა... თითოეულ ჩვენგანს უიფიქრია ვინ არის ადამიანი, რომელიც ჩვენს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს... არა საველე სამხედრო ფორმაში გამოწყობილ სამხედროზე, არამედ მის პიროვნებასა და ღირებულებებზე - შეიარაღებული ძალების საფუძველზე... თავდაცვის უწყების სამხედრო და სამოქალაქო პირები, სწორედ ამ მიზნით შეიკრიბნენ და ჯარისკაცის მთავარი სათქმელი „ჯარისკაცის მრწამსში“ გააერთიანეს. უახლოეს მომავალში „ჯარისკაცის მრწამსი“ ვიდეორგოლად შეიკვრება და თავდაცვის უწყების ოფიციალურ ელექტრონულ, ასევე ფეისბუქგვერდებზე განთავსდება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ღირებულებები

„ერთიანი ღირებულებებით - საქართველოსთვის!“ - ამ სათაურის ქვეშ გაერთიანდა ვიდეოჩანახატები, სადაც ჯარისკაცები მშვიდობაზე, თავისუფლებაზე, გამარჯვებაზე, ერთობაზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე, სიმტკიცეზე, თავდადებაზე, თავგანწირვაზე, სიმამაცეზე, სიცოცხლესა და სიყვარულზე საუბრობენ.

„თავისუფლება არის არა მარტო ფიზიკური, არამედ გონებრივი, ასევე მოქმედების თავისუფლება, რომელიც „გაკონტროლებულია“ მორალით, და მას უდიდესი პასუხისმგებლობა ახლავს“, „ადამიანი მისაბაძი და პატივსაცემია მაშინ, როდესაც ცხოვრებაში ღირსეული პრინციპები აქვს და ერთგულად იცავს მას“, „სიცოცხლე არის სიყვარული და თუ, იმავდროულად, ზნეობრივად ვცხოვრობთ, სიცოცხლე მშვენიერია!“ „ჯარისკაცისთვის მშვიდობა არის პერიოდი-ისწავლო, იშრომო, ივარჯიშო და გახდე პროფესიონალი!“, „მე, როგორც შეიარაღებული ძალების მომავალი ოფიცერი, კარგი მეგობარი და დამცველი ვიქნები ყველასთვის ვისაც სამშობლოს ბედი ანაღვლებს“... ვიდეოჩანახატებზე საუბრისას ამ ამონარიდებით შემოვიფარგლებით, რადგან თითოეულ ღირებულებაზე შექმნილი ვიდეორგოლი პერიოდულად თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე განთავსდება.

ამ ღირებულებებზე თავდაცვის უწყებამ კიდევ ერთი პროექტი განახორციელა - „მხატვრები მშვიდობისთვის“, რომლის ფარგლებში ქართველმა მხატვრებმა - რუსუდან ფეტვიაშვილმა, ქეთი მატაბელმა, მამუკა დიდებაშვილმა, ანტონ ბალანჩივაძემ, ნიკო ცეცხლაძემ, დალი ფოდიაშვილმა, დევი ზალდასტანიშვილმა, მამუკა მიქელაძემ, ნინო ჩაკვეტაძემ, ნინო ფერაძემ, კოკა ციხელაშვილმა, სანდრო დალაქიშვილმა თორმეტი ფერწერული ტილო შექმნეს.

ჯარისკაცები ცხოვრებაში უხვსიტყვიანობით არ გამოირჩევიან, თუმცა საქმით ამტკიცებენ იმ ღირებულებების ერთგულებას, რომელიც ქვეყნის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს!

თემის გაგრძელება გვ. 10

მამის მეგობრისგან

2016 წლის 25 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის პირველ სართულზე პირველად დაიდგა ხის ყუთი წარწერით - მამის მეგობრისგან. დღის ბოლომდე არავინ იცოდა, რა მიზანს ემსახურებოდა სიახლე, რომელიც ერთი შეხედვით ძალოვანი უწყების სპეციფიკისგან ძალიან განსხვავდებოდა.

სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ცხრა სართულზე განლაგებული ოთახების სახელურებზე წერილები ჩამოიკიდა - „გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! თქვენ შეგიძლიათ იყოთ სანტა. თუ გაქვთ სურვილი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, სამშვიდობო მისიებსა და სამსახურებრივი მოვალეობის დროს გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების შვილებს გაუკეთოთ საახალწლო საჩუქრები, ყუთი ქვემოთ, პირველ სართულზე გელოდებათ“. ახალი სოციალური კამპანიის შესახებ ხმები არა მარტო სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურებში, არამედ სხვადასხვა საჯარო უწყებაში, კერძო კომპანიებში, საზოგადოებაშიც გავრცელდა. ხის ყუთში კი ნელ-ნელა წიგნებს ფაზლები ცვლიდა, სათამაშო მანქანებს სამკაულები, თოჯინებს პულტიანი ვერტმფრენები... საჩუქრებს წერილები მოყვებოდა: „სანამ ახალ, 2017 წელს ულეევ ბედნიერებას გისურვებ, მანამდე მინდა იცოდე - დიახ, მე ვარ შენი მამიკოს მეგობარი! მინდა უსასრულო და დაუღალავი ბედნიერებისგან თვალები მუდამ გიბრწყინავდეს და ყოველთვის გახსოვდეს, მამისმეგობარი შენთან არის, შენ გვერდით, შენთვის. სწორედ ისე, როგორც შენი გმირი მამიკო იდგა სამშობლოსთვის. გილოცავ ახალ წელს!“.

ხის ყუთი ნელ-ნელა აივსო და 25 დეკემბერს დაიცალა. საჩუქრები ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით განაწილდა, ტკბილეულთან ერთად სასაჩუქრე ჩანთებში ჩაიდო და 2016 წლის 26 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლისას, საერთაშორისო მისიებსა და სამსახურებრივი მოვალეობის დროს გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის ორგანიზებული ღონისძიების ბოლოს ადრესატებს გადაეცათ.

სოციალური კამპანია მამის მეგობრისგან მისი არსებობის მეორე წელს ითვლის. არ შეცვლილა პროექტის მიზანი, არც მიზნობრივი აუდიტორია და რაც მთავარია, უცვლელია პასუხისმგებლობა, რომელმაც პროექტში უამრავი ერთმანეთისთვის ნაცნობი თუ უცნობი ადამიანი გააერთიანა.

2017 წლის 26 ნოემბერს თავდაცვის სამინისტროს პირველ სართულზე ისევ დაიდგა ხის ყუთი წარწერით მამის მეგობრისგან.

სათქმელიც უცვლელია - „გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! თქვენ შეგიძლიათ იყოთ სანტა. თუ გაქვთ სურვილი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლისას, სამშვიდობო მისიებსა და სამსახურებრივი მოვალეობის დროს გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების შვილებს გაუკეთოთ საახალწლო საჩუქრები, ყუთი ქვემოთ, პირველ სართულზე გელოდებათ“. 2017 წლის 27 დეკემბერს სამინისტროს ეზოში გამართულ წინასაახალწლო კონცერტზე საჩუქრები კვლავ ადრესატებს გადაეცათ

თემის გაგრძელება გვ. 8

თავდაცვის სამინისტრომ დაღუპული გმირების შვილებს საახალწლო კონცერტზე უმასპინძლა

დეკემბრის პირველი რიცხვებიდან თავდაცვის სამინისტროს ეზოში წინასაახალწლო ფუსფუსი დაიწყო. სივრცე განსაკუთრებულად მოეწყო. სადღესასწაულო განწყობა კი ყველა დეტალში იგრძნობოდა.

ეზოს ცენტრში უზარმაზარი ნაძვისხე სპეციალური სტუმრებისთვის განსაკუთრებულად მოირთო. საშობაო სოფლის იმიტაცია კი საახალწლო ხის ქოხებმა შემოიტანეს, რომლიდანაც დათქმული დღისთვის საჩუქრები უნდა დარიგებულიყო.

დათქმული დღე, 27 დეკემბერიც მოვიდა და ეზო ბავშვებით აივსო... საახალწლო კონცერტი ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული გმირების შვილებისთვის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის სახელით მოეწყო.

თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ლელა ჩიქოვანმა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ მათ სიტყვით მიმართეს, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. ბავშვებისთვის წინასაახალწლო განწყობის შექმნასა და სასიამოვნო დღის გატარებაზე ჯარის მეგობრებმა, ქართველმა მომღერლებმა - სოფო ბედიამ, ნუცა ბუზალაძემ, სალომე ბაკურაძემ, გიორგი სუხიტაშვილმა, მაკა ზამბახიძემ და ელენე ფოჩხუამ იზრუნეს. მომღერლებმა მოწვეულ სტუმრებს ახალი წელი სპეციალურად მათთვის გამართული კონცერტით მიულოცეს. დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილებს თავდაცვის სამინისტროს მიერ შეძენილი „სუპერის“ სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ. ქართულმა კომპანიებმა: „ბარამბო“, „ქართული ლუდის კომპანია“, მედიაჰოლდინგი „პალიტრა L“, სათამაშოების მაღაზია „ჭიტა“ და სამხედრო ჟურნალი „არსენალი“, სოციალური პასუხისმგებლობისა და თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში სტუმრები სხვადასხვა პროდუქციით დაასაჩუქრეს. მოგვიანებით, ბავშვებმა, დედებთან ერთად, თავდაცვის სამინისტროს „არმიჰოლში“ გადაინაცვლეს, სადაც მათ „ქართული კვების კომპანია“ ფურშეტით გაუმასპინძლდა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის სახელით დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის საახალწლო ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება. დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების მხარდაჭერა და მათზე ზრუნვა უწყების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის ორგანიზებული კონცერტი სოციალური კამპანიის #მამისმეგობრისგან ფარგლებში ჩატარდა.

კონცერტი საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისთვის

სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერა, მათზე ზრუნვა თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ახალი წლის მოახლოებისას სამინისტრო ყოველთვის ცდილობს, დაგეგმილი აქტივობებით, თითოეულ ჯარისკაცს ქვეყნის სამსახურისთვის მადლობა გადაუხადოს. 28 დეკემბრის წინასაახალწლო კონცერტი სწორედ ამის დასტურია, კონცერტი, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებს მიეძღვნათ. ჯარისკაცებისთვის განწყობის შექმნაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელმა ორკესტრმა და ქართველმა მომღერლებმა, სალომე ბაკურაძემ, ელენე ფოჩხუამ, მაკა ზამბახიძემ, სოფო ბედიამ, ნუცა ბუზალაძემ და გიორგი სუხიტაშვილმა იზრუნეს.

ღონისძიებას თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები, ოფიცრები, სერჟანტები, დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები მეუღლეებთან ერთად დაესწრნენ. თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართა, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა, ქვეყნის წინაშე ღირსეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

კონცერტი სამხედრო ორკესტრისა და მომღერლების მიერ საახალწლო კომპოზიციის ერთობლივი შესრულებით დასრულდა.

მხატვრები მშვიდობისთვის

პროექტი, რომელმაც თორმეტი ქართველი მხატვარი საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და მისი ღირებულებების გარშემო გააერთიანა

ფარივით ძლიერი სიმტკიცე, სწრაფვა გამარჯვებისკენ, „ვეფხისტყაოსნიდან“ დანახული ერთობა, მეგობრობა და ერთგულება, წმინდა გიორგი, როგორც ადამიანებისათვის თავდადებისა და ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების სიმბოლო; 2008 წლის აგვისტოს ალში გახვეული გმირების თავგანწირვა და ერთ-ერთი უმთავრესი - მშვიდობა... ბრძოლა, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მშვიდობიანი მომავლისთვის; ბრძოლის ველზე სამაგალითო სიმამაცე და სამშობლოს სიყვარული, რომელიც ერთიანობის საფუძველთა საფუძველია. სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარული...

სანდრო დალაქიშვილი, გამარჯვება

სანდრო დალაქიშვილი: „ჩემს ნამუშევარს ჰქვია გამარჯვება. ამ ნამუშევრით მინდოდა მეჩვენებინა ის მებრძოლები, რომლებიც შეუპოვრები არიან და არაფრის წინაშე უკან არ დაიხევენ თავისი სიცოცხლის ფასადაც კი“.

თავგანწირვა, მშვიდობა, გამარჯვება, სიმამაცე, სიცოცხლე, თავდადება, სიმტკიცე, მეგობრობა, სიყვარული, ერთობა, თავისუფლება, ერთგულება - ის მთავარი ღირებულებებია, რომელსაც შეიარაღებული ძალები თავის თავში მოიაზრებს. „მხატვრები მშვიდობისთვის“ – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროექტია, რომელმაც თორმეტი ქართველი მხატვარი საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და მისი ღირებულებების გარშემო გააერთიანა. პროექტმა სამხედრო - სამოქალაქო თანამშრომ-

ლობის წარმატებული პრეცედენტი შექმნა. რუსუდან ფეტვიაშვილი, მამუკა დიდებაშვილი, ნიკო ცეცხლაძე, დალი ფოდიაშვილი, დევი ზალდასტანიშვილი, მამუკა მიქელაძე, ნინო ჩაკვეტაძე, ნინო ფერაძე, ქეთი მატაბელი, კოკა ციხელაშვილი, ანტონ ბალანჩივაძე, სანდრო დალაქიშვილი - საქართველოს თანამედროვე და წარმატებული მხატვრები, რომლებიც თითოელი ჯარისკაცის მიმართ, მადლობისა და თანადგომის გამოხატვის ნიშნად, პროექტში უანგაროდ ჩაერთვნენ.

პროექტის პრეზენტაცია 2017 წლის 26 დეკემბერს საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო სივრცეში გაიმართა. მხატვრების მიერ ჯარის ღირებულებებზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან, გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაიასა და უწყების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. გამოფენაზე ასევე, თავდაცვის სამინისტროს სოციალურ პროექტ „Army Card-ის“ პარტნიორი კომპანიები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ლევან იზორიამ პროექტში ჩართულ თითოეულ მხატვარს სიმბოლურად მადლობის სიგელები გადასცა. თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ პროექტში მხატვრების ჩართულობა სამხედროების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატულება და სოციალური პასუხისმგებლობის მკაფიო გამოვლინებაა. „ჩვენი სამხედროები იმ მემკვიდრეობას რომელიც წინაპრებისგან მივიღეთ, თავიანთი თავგანწირვით ყოველთვის ამყარებდნენ და ამით მათ საქმიანობას საზოგადოებისთვის უფრო ღირებულს, დაფასებულსა და საამაყოს ხდიდნენ. დღევანდელი ჩვენი პროექტი სწორედ ამ მადლიერების, განსაკუთრებული განწყობისა და დამოკიდებულების გამოხატულებაა, სწორედ იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ჩვენ ნაცვლად აქვს აღებული პასუხისმგებლობა, რომ ღირსეულად ემსახუროს ამ ღირებულებებს“, – განაცხადა ლევან იზორიამ.

მამუკა მიქელაძე, სიმტკიცე

მამუკა მიქელაძე: „ღრმად მწამს ქართველი ჯარისკაცების შეუპოვრობა, მათი მეომრული სული. შევეცადე გადმომეცა ქართული ჯარის შეუპოვრობა და სიმტკიცე, რაც ასე დამახასიათებელია მისთვის. ამ ნამუშევარში აქცენტი უფრო გაკეთებული მაქვს თავდაცვაზე და არა თავდასხმაზე.“

ღონისძიებაზე ნაჩვენები იყო ვიდეორგოლი, სადაც მხატვრები ღირებულებებთან დაკავშირებით საკუთარ დამოკიდებულებებზე საუბრობენ.

ნინო ჩაკვეტაძე: „მხატვრები მშვიდობისთვის ძალიან კარგი პროექტია, როდესაც მხატვარს შეუძლია ქართველ ჯარისკაცს თავისი სათქმელი ამგვარი ხერხით მიაწოდოს“.

გამოფენაზე მოსულ სტუმრებს ნამუშევრების შეძენის შესაძლებლობა ჰქონდათ. ნახატების გაყიდვიდან შემოსულ თანხას მხატვრები, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, თავდაცვის სამინისტროს ბაზაზე არსებულ დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილ ფონდში შეიტანენ. თანხა სრულად მოხმარდება დაჭრილ-დაშავებული სამხედროების საჭიროებებს.

ქეთი მატაბელი, ერთობა

ქეთი მატაბელი: „ყველა მხატვარს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ღონისძიებაში მინდა მადლობა გადავუხადო. ჯარის 12 ღირებულებათაგან მე ავირჩიე ერთობა, რადგან ჩემთვის დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჩვენი ერთიანობაა“.

ფოტო ამბავი
“მხატვრები მშვიდობისთვის”

ნინო ფერაძე, სიყვარული



ნიკოლოზ (კოკა) ციხელაშვილი, თავისუფლება

დევი ზალდასტანიშვილი, თავდადება

რუსუდან ფეტვიაშვილი, მშვიდობა

ანტონ გალანჩივაძე, ერთგულება

ნინო ჩაკვეტაძე, მეგობრობა

დალი ფოდიაშვილი, სიცოცხლე



მამუკა დიდებაშვილი,
„ალისფერი აგვისტო“ - თავგანწირვა



ნიკო ცეცხლაძე, სიმამაცე

გაზეთის გავრცელების ხელშეწყობისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მადლობას უხდის
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საქართველოს რკინიგზას